# სახალხო გაზეთი

№ 586 შაბათი, 28 აპრილი, 1912 წ. № 586

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს“ ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.
„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


**ზაალ ივანეს ძე ყიფიანი მეუღლითურთ და მარიამ ივანეს ასული ქართველიშვილისა,** პირველნი—მშრობელნი და მეორე — მამიდა, ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ამ თვის 29-ს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს, სოფელს ქვიშხეთში გარდახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის

**ანასტასია ზაალის ასულის ყიფიანის**

სულის მოსახსენებლად. (1.410.1)

---

კვირას, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**თავ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წულუკიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარნი **დედა, საცოლო ბარბარე (ბაბულია) ივანეს ასული კნ. მაჭუტაძე, ძმები და დები.** (1—412—1)

---

ტელეფ. № 862. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 862.

კვირას, 29 აპრილს, ქართულ თეატრის არტისტების მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ცნობილი პიესა:

## ოტელო

ტრაგედია 5 მოქ. თარგ. ი. მაჩაბლისა.

**ოტელოს** როლს შეას. **ალ.-მესხიშვილი, იაგოს** როლს **კ. მესხი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ლეჟავა, რიონელი, ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. კ. მესხი, ანდრონი, არადელი-იმხნელი, იორდანიშვილი, ჟივიძე და სხვა.

**დასაწყისი სალ. 8½ საათზე.** ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ალ.-მესხიშვილი.**
(3—1196—2) ადმინისტრატორი **იორდანიშვილი.**

---

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

შაბათს, 28 აპრილს, 1912 წ.

## საოჯახო საღამო

ქართულ თეატრში გაიმართება გულთმისანთა დასის გასტროლი: ილიუზიონისტი **ე. ვიტოლლო,** ოსმალეთის კარის პრესტიდიჟიტატორი ქალი **ფატიმა,** ახალგაზდა სხვათა ფიქრების გამომცნობი **ლიუცილია,** ფაკირი და სპირატი **ნორინი.** დასაწყისი საღამოს 8½ ს.

ადგილების ფასი თეატრში 50-დან 10 კაპ-მდე. გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან, ფასები გალერეიაში 20-დან 10 კაპ—მდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენ. 25 კაპ. (2—1192—2)

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**

**კვირას, 29** აპრილს, 1812 წ. მსახიობი **ბეგლარიძე ვანო სარაჯიშვილისა** და **დათიკო აწყურელის** მონაწილეობით გ ა მ ა რ თ ა ვ ს

## სალიტერატურო-სამუსიკო დილას

ორ განყოფილებად. 1) **განყოფილებაში** ნაფიცი ვექილის თანაშემწე **გ. თ. ჟორდანია** წაიკითხავს **ლ ე ქ ც ი ა ს:**

**„ზნეობა და სამართალი, ადათი და კანონი“.**

2) **განყოფილებაში:** ვანო სარაჯიშვილი იმღერებს რომანსებს. დათ. აწყურელი წაიკითხავს კინტოურ სცენებს. ი. სალირაშვილი დაუკრავს თარზე ახალ ჰანგებს. ძმან. კავსაძენი და ქართ. მომღერალ-მგალობელთა გუნდი, **მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით შეასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს, იორდანიშვილი წაიკითხავს, კინტოს სიყვარულს.

(3.402.2 ბილეთ. ფასი 5—50 კ. **დასაწყ. ნაშუადღ. 1 ს.** გამგე **ბეგლარიძე.**

---

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

კვირას, 29 აპრილს, 1912 წ. ლიტერატურულ-მუსიკალური

## საბავშვო დილა

1. **ბულბული,** ქართულად უამბობს ი. ნაკაშიძე.
2. **ხუთი** სინემატოგრაფიული სურათი, ქართულად აუხსნის ი. ნაკაშიძე.
3. საკონცერტო განყოფილება. **დასაწყისი დილის 12 საათზე.**

თეატრის ფასი ბავშვთათვის 20-დან 10 კ.—მდე. (2.1192.1)

---

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

29 აპრილს, დილის ათ საათზე „ნაძალადევის თეატრში (ჩერქ. ქუჩა) დანიშნულია

## საზოგადო კრება „ნაძალადევის“

სცენის მოყვარეთა წრის წევრთა ახალი გამგეობის ამოსარჩევად და წლიური ანგარიშის განსახილველად. წრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ძველ წევრთ შემოიტანონ ამ წლის საწევრო გარდასახადი, რათა ხმის უფლება არ დაეკარგოთ საზოგადო კრებაზე.

**წრის გამგეობა.** (3.1100.2)

---

ახალი გამოცემა **ქართულ სიტყვ კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა**

## ბესიკი

(ბესარიონ გაბაშვილი)

ფასი 1 მან.

ი ყ ი დ ე ბ ა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობათ 20% დაკლებით. ს ა წ ყ ო ბ ი: ოლგის მისახვევი, № 5 ბინა **გ. ს. რცხილაძისა.** (0—1235—1)

---

## ბალი და „საზაფხულო თეატრი“

საზოგადო კლუბის საზაფხულო ბინა, მიხეილის ქუჩაზე № 65.

**კვირას, 29 აპრილს,**

**უდიდესი საგაზაფხულო სეირნობა** სხვა და სხვა გასართობებით.

**ქალთა უფასო პროფესიონალურ სკოლის სასარგებლოდ**

მანდალინაზე დამკვრელთა გუნდი **ა. გ. კობიაშვილის** ლოტბარობით, **მ. ლ. კავსაძის** ლოტბარობით ქართველ მომღერალთა გუნდი ქულაჯებით.

**სამხედრო მუსიკა,** პტიშკო, რგოლების სროლა, კონფეტი, ყვავილები და ბუფეტი. **ლეკურს** იცეკვებს ცნობილი **ი. ოქროპირიძე,** ბოლოს გაიმართება ცეკვა ევროპიული. შესასვლელი ფასი დიდებზე 30 კ., მოსწავლეებსა და ბავშვებზე 20 კ. თუ გაავდარდა, სეირნობა სხვა დროსთვის გადაიდება. **სეირნობა დაიწყება ნაშუადღ. 4 ს.** (1.400.1)

---

ტფილ. ქართული დრამატ. დასის

## მოგზაურობა

**მარიამ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით**

დასი შესდგება შემდეგ პირთაგან:

დამსახურებულნი მსახიობნი ქართული სცენისა: **მარ. საფაროვ-აბაშიძისა, ვასილ აბაშიძე, კონსტ. ყიფიანი, ვალერიან გუნია,** ტასო აბაშიძე, ცაცა ამირაჯიბი, მარგ. ქილარჯიშვილი, იოს. ივანიძე, ა. ციციშვილი, დ. აბდუშელი შ. საფაროვი, იოს. გრიშაშვილი და სხვანი.

**რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი:**

ნ. შიუკაშვილის—**„მეგობრობა“,** იოს. გედევანიშვილის — **„გამცემი“,** გაბ. სუნდუკიანცის—**„პეპო“,** ბაიარის—**„პარიზელი ბიჭი“,** რ. ერისთავის—**„ბიძიასთან გამოხუმრება“,** კარნეევის—**„გულმა იგრძნო“** და **ლიტერატურულ-მუსიკალური დივერტისმენტები.**

**დასს განზრახვა აქვს შემოიაროს შემდეგი ადგილები:**

გორი, ცხინვალი, გომი, თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, ყვირილა, ჭიათურა, საჩხერე, სამტრედია, ხონი, ახალსენაკი, აბაშა, ზუგდიდი, ფოთი, ბათომი, სოხუმი, ოჩამჩირი, გუდაუთი, გაგრა, სოჭი, განჯა, ბაქო, გუმბრი, ოზურგეთი, ონი და სხ. ადგილები.

(5.1230.4) დასის გამგე **ვალ. გუნია.**

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

## ძმ. ე. და პ. საპაშვილები,

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

**ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.** (25 1195.13)

---

ი. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს

## „გ ა მ ც ე მ ი“

3 მოქმ. დრამა.

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.10)

---

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## „ი რ ი ს“,

25 ცალი 15 კ. და 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## „ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.31)

---

ქ უ თ ა ი ს ი

შუაგულ ქუთაისში, **„მწვანე ბაზარში“, ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

**„ბრისტოლი“.** მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქ უ თ ა ი ს ი (25.1194.14)

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10. ტელეფ. 792.** (თ.100—1534—212)

---

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

## „გ რ დ ე მ ლ ი“

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.68)

---

## რ ა ჭ ა შ ი

**იასონ გაბილაია** სხვავის საზოგადოების სასწავლებელში, 4 მაისს წაიკითხავს 2 ლექციას კოოპერაციაზე

**დილის 9 საათზე: „მომხმარებელი ამხანაგობები“**
**ნაშუად. 3 „ „ურთიერთ დამხმარე საზოგადოებანი“**

ვთხოვთ წამკითხველთ პირადადაც გადასცენ ლექციაზე დასასწრებლად. ბილეთები იყიდება ხარიტონ არჩვაძესთან ს. სხვავაში. ლექცია ნებადართულია ქუთ. გუბერნატორისაგან. (1—408 1)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში**

## ფ. ს. ფილიპპოვისა,

ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

**საზოგადოების სურვილით**

**გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა**

**აპრილის დამლევამდე.** ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.19) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქ უ თ ა ი ს შ ი

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაცი ნარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მიქელაძე ... შ. ...** |
| | **[illegible]შვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ავადმ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კან. ვენ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]0—324)

---

## შპალიერი

**ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.**

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.12)

---

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 290)

---

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 15;)

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№ 20.** (წ.—1022—44).

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—26)

---

**ექიმი კბილისა არჩილ (გიორგის ძე) დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.26)

გამოცდილმა
# მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижнiй звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.153)



# ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -**

(წლ.—1018—257)



**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Muthen-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067)

(100—1117—148)

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავად- [illegible], სტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.100).

**ექიმი კბილისა ნინო რაზიკაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—81)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ ღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (ტ


# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ეფრემოვს, პროგრესისტთა ფრაქციის თავმჯდომარეს, ულაპარაკნია ეგრედ-წოდებულ „უპარტიო პროგრესისტთა“ ჯგუფის შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებსაც ეცოდინებათ, ეს ჯგუფი დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა და მეოთხე სათათბიროს არჩევნებში ენერგიულ მონაწილეობის მიღებას აპირებს. „უპარტიო პროგრესისტთა“ ჯგუფის მომავალ საარჩევნო პლატფორმის შესახებ ეფრემოვს უთქვამს:

> არავითარ პარტიულ პროგრამას არ გამოვაცხადებთ, საზოგადოდ ყოველგვარ პარტიულ ბეჭედს მოვიშორებთ. წინ წამოვაყენებთ მხოლოდ იმ მინიმუმს, რომელსაც შეეძლება დაკმაყოფილება რუსეთის მშვიდობიან განვითარების მოსურნე ელემენტებისა. ეს მინიმუმი შემდეგში გამოიხატება: გარდაქმნა რუსეთის უფლებრივ სახელმწიფოდ და სახელმწიფო სათათბიროს ავტორიტეტის აღდგენა. ხალხის წარმომადგენლები იძულებულნი არ უნდა იყვნენ მორჩილებით ქედი მოიხარონ იმის შიშით, რომ მცირეოდენს უთანხმოებასაც კი მთავრობასთან შეიძლება დათხოვნილ იქმნას. თუ საჭირო იქნება, დათხოვნასაც არ შევუშინდებით. ჩვენი მიზანია აგრეთვე ბრძოლა ცრუ-ნაციონალიზმთან, რომელმაც ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას!

* * *

ასეთი პლატფორმა, რა თქმა უნდა, მთავრობის მომხრე გაზეთებს არ მოეწონებოდათ. მართლაც, ოფიციოზი „როსსია“ გაჯავრებულია, რომ კადეტებს უნდათ ამომრჩევლები მოატყუონ და სათათბიროში „უპარტიო პროგრესისტთა“ სახელით გავიდნენ. იგი სწერს:

> უნდა გამოვტყდეთ, რომ აქ ყოველგვარი პოლიტიკური ზრდილობა შელახულია. ჩვენ ზნეობაზე არა ვლაპარაკობთ, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ პოლიტიკურ ბრძოლაშიაც საჭიროა საშუალებათა გარჩევა. ჩვენ მხოლოდ ზრდილობაზე ვლაპარაკობთ. მთელი საარჩევნო კამპანია იქითკენაა მიმართული, რომ ამომრჩეველი მოატყუონ, დაუმალონ თავისი პოლიტიკურ სახე, ყალბი პასპორტით იმისი ნდობა დაიმსახურონ.

ასეთს ცეცხლს აფრქვევს ოფიციოზი! მხოლოდ ერთი რამ ავიწყდება: მართლიც რომ იყოს ესა, ვინ აიძულა ამომრჩეველი და საარჩევნო ჯგუფებიც ასე მალულად მოქმედნათ? იქნება ოფიციოზს გუბერნატორებთან დაგზავნილი ცირკულიარები დაავიწყდა? იქ, სადაც საარჩევნო ბრძოლაში ადმინისტრაცია არ ერევა და გავლენას არ ახდენს, დამალულიც არაფერია.

# სახელმწიფო სათათბირო

26 აპრილი.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

**თავმჯდომარეობს როძიანკო.** მესამედ კითხულობენ კანონ-პროექტს ხოლმსის გამოყოფის შესახებ. მორიგი საკითხია კანონპროექტის მეცხრე ნაწილი, რომლის ძალითაც საოლქო სასამართლო და საგუბერნიო დაწესებულებანი უნდა დაარსდეს ხოლმში, სამოსწავლო დირექცია-ლიუბლინში.

**პარჩევსკი** მოითხოვს მეცხრე ნაწილის გამოტოვებას.

მიღებულ იქმნა წინადადება კამათის მოსპობის შესახებ. პარჩევსკის წინადადება უარჰყვეს. კანონ-პროექტი მიიღეს ისე, როგორც მეორედ კითხვის დროს შემუშავდა. მეორედ კითხვის დროს უარყოფილი მეათე ნაწილი აღდგენილ იქმნა შემდეგის რედაქციით: ხოლმსის გუბერნია ჩამოშორდეს ვარშავის საგენერალ-გუბერნატოროს და დაქვემდებაროს პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროს. მთელი რიგი მეთერთმეტე ნაწილის მუხლებისა მიღებულ იქმნა იმ სახით, როგორც მეორედ კითხვის დროს შემუშავდა. ამავე ნაწილში მიღებულ იქმნა შესწორება კოვალევსკისა, რომ პოლონეთში მომქმედი კანონი პოლონურ ენისა და სიტყვიერების სწავლების შესახებ ხოლმის გუბარნიის სკოლებს არ შეეხება.

მეთერთმეტე ნაწილის მეთერთმეტე მუხლის კითხვის დროს **ეპისკოპოსმა ევლოღიმ** მოითხოვა, კვლავ აღდგენილ იქმნას ის მუხლი, რომელიც კათოლიკებს ხოლმის გუბერნიაში უკრძალავს კათოლიკეთა დღესასწაულების გადატანას მთავრობის დაწესებულებებში. კომისია ეპისკოპოს ევლოღის წინადადებას ემხრობა. შესწორების წინაალმდეგია **პარჩევსკი.**

**როდიჩევის** აზრით, სახალხო წარმომადგენლების საქმე არ არის ისეთ ნორმების დამყარება, რომელნიც მცხოვრებლებს აბრაზებს. ეს წინადადება მებრძოლი კლერიკალიზმია, ისეთი გონებრივი განწყობილება, რომელიც სიყვარულის მოძღვრების სამოსელში მხოლოდ იმიტომ ეხვევა, რომ თავისი სიძულვილის გრძნობა დაიკმაყოფილოს. (ტაში მარცხნით).

**ეპისკოპოსი ევლოღი** ამოწმებს, რომ ხსენებული შესწორება არავის არ გააბრაზებს.

მეთორმეტე მუხლი კანონპროექტისა შეეხება იმას, რომ პოლონეთის გუბერნიებიდან დასავლეთის გუბერნიებში გადარიცხვა შეიძლება მხოლოდ გუბერნატორის ნებართვით. პირველ კენჭის ყრის დროს უმრავლესობა ამ მუხლის მომხრე აღმოჩნდა. კარებში გასვლით 119 მომხრე აღმოჩნდა, 119 წინააღმდეგი. კარებში მეორედ გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 120 ამ მუხლის დატოვების მომხრეა, 117—წინააღმდეგი. მეთერთმეტე ნაწილის დანარჩენი მუხლები მიღებულ იქმნა ისე, როგორც კომისია მოითხოვდა.

ამის შემდეგ გაიმართა საზოგადო კამათი კანონ-პროექტის შესახებ. მემარჯვენენი მომხრენი არიან კანონ-პროექტისა. როდიჩევი აცხადებს, რომ კადეტები წინააღმდეგნი არიან კანონ-პროექტისა. ფონ-ანრეპი აცხადებს, რომ ისიც წინააღმდეგია კანონ-პროექტისა, მხოლოდ არა იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც კადეტები და პოლონელთა კოლო.

კანონ-პროექტი მიიღეს 156 უმრავლესობით წინ აღმდეგ 108-ისა და გადასცეს სარედაქციო კომისიას. (ტაში მარჯვნით და ცენტრში, ხმაურობა და სტვენა მარცხნით).

**თავმჯდომარე** აცხადებს, საუბედუროდ სტვენაც ისმოდა; მგონია ეს ვერ არის კარგი გამოხატულება საკუთარ აზრებისა (ტაში მარჯვნით).

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სტიპენდიები.** ტფ. საკომერციო ბანკის საბჭო ბანკის მოსამსახურეთა შვილებისათვის ხუთ-ხუთ სტიპენდიას აარსებს საკომერციო სასწავლებელსა და ა. ი. მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლაში.

✦ იუსტიციის სამინისტროს გადაუწყვეტია, **სასამართლო დაწესებულებათათვის საკუთარი შენობები**ააგოს კავკავსა, ბაქოსა, ერევანსა და განჯაში.

✦ **ბანკის შენობა.** ტფ. სათავადაზნაურო ბანკი უკვე შეუდგა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ნაყიდ სახლის დანგრევას. ეს სახლი სანახევროდ იყიდეს სათავად-აზნაურო და ვოლგა-კამის ბანკებმა.

✦ **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს** გამგეობა ქალაქის თვითმმართველობის წინაშე შუამდგომლობს, რათა სასადილოს ყოველწლიურად 100 მან. დახმარება დაუნიშნოს

✦ **ყალბი ფული.** გვირილობა დღეს ერთს ყულაბაში № 98 ყალბი თუმნიანი აღმოჩნდა. ამ ყულაბაში ოქროს ფული სხვა არა ყოფილა. ბევრს აინტერესებს, ყალბი ფული ვინ ჩააგდო.

✦ **დამპალ ციებასთან ბრძოლა.** მაისის პირველ რიცხვებში ტფილისს ესტუმრება პიროგოვის სამკურნალო საზოგადოებასთან არსებული კომისია, რომელმაც კავკასიაში დამპალი ციება უნდა გამოიკვლიოს და ზომები შეიმუშაოს მასთან საბრძოლველად. კომისიაში 12 ექიმი-სპეციალისტია. სამგზავრო ხარჯად მიეცათ: გადასახლების სამმართველოსგან—15,000 მან. და კავკასიის საერობო თანხიდან—5.000 მან. კომისია პირველად ჩრდილო მუღანისაკენ გაემგზავრება, შემდეგ კი შავის ზღვის მხარეს. იმუშავებს მაისიდან დაწყებული ოქტომბრამდე.

✦ **საქალაქო სახლის** (ერევნის მოედანზე) გადაკეთება და გაფართოვება ამ მოკლე ხანშია განზრახული. აზრად აქვთ, სახლს მესამე სართულიც დაადგან. შესაფერ პროექტის შედგენა ქალაქის გამგეობამ ტეხნიკოსს ა. ა. მელიქ-ბეგლიაროვს დაავალა.

✦ **ხარჯის ამკრებ ინსპექტორთა შტატი გადიდებულ იქმნა** ქალაქ ტფილისსა და გორის მაზრაში. ტფილისის ინსპექტორთა რაიონებს შემდეგი საპოლიციო უბნები შეადგენს. პირველს რაიონს—პირველი და მეორე საპოლიციო უბანი, მეორეს—მესამე და მეოთხე, მესამეს—მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე, მეოთხეს—მერვე და მეცხრე და მეხუთეს—მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე. გორის მაზრის ინსპექტორთა რაიონებს შეადგენს: პირველს უბანს—ქალაქი გორი და საბოქაულოები: ცხინვალისა და ჯავისა, მეორეს—საბოქაულოები: ახალქალაქისა, ქვემო-ჭალისა და მეჯვრისხევისა, მესამეს საბოქაულოები: სურამისა, ბორჯომისა, გომისა და ქარელისა. პირველ და მეორე რაიონის ინსპექტორებმა გორში უნდა იცხოვრონ, ხოლო მესამე რაიონისამ—სურამში.

✦ **ლ. პ. დანილოვი** უკვე შეუდგა ექსარხოსის კანცელარიის მმართველის თანამდებობის ასრულებას.

✦ **ნიაღვარი,** რომელიც 25 აპრილს მოვარდა, შემდეგი ქუჩები მეტის მეტად დააზარალა: მოსკოვისა, პეტროვისა, არწრუნისა, გუნიბისა, ოლგისა, წყნეთისა, ამაღლებისა, ჩერქეზიშვილისა და სხვანი. ქუჩები ახლაც ქვიშითა და სილით არის სავსე.

✦ **მტკვარში დაიხრჩო** ცხენების ბანაობის დროს ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ ყარაბულახის მცხოვრები სტეფანე თათეოსას ძე ტერ-პეტროსოვი.

✦ **წყალდიდობა.** 25 აპრილის შემდეგ [illegible] მოიმატა. ტფილისში მიღებულია ზომები იმ [illegible] კალაპოტიდან გადმოვიდა.

✦ **სულით-ავადმყოფთა თავშესაფარის** შენობის შესაკეთებლად ქალაქის გამგეობამ 200 მან. გადასდო.

✦ **ახალი წიგნი.** ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებამ გამოსცა ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ნაწერები. წიგნი ბ-ნ ს. რ. გორგაძის რედაქციით გამოცემული, შეიცავს XXXVI+234 გვერდს, დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე და ღირს ერთ მანეთად. წიგნს ბოლოში დართული აქვს ზოგიერთ გაუგებარ სიტყვათა ახსნა-განმარტება.

✦ **თავ. ნ. ბ. ერისთავის ცხედარი** პეტერბურგიდან გუშინ ტფილისში ჩამოასვენეს. ქაშვეთის ეკლესიაში წირვისა და პანაშვიდის გადახდის შემდეგ კალოუბნის ეკლესიაში მიასვენეს, სადაც მიწას მიაბარეს, დაკრძალვას, სხვათა შორის, დაესწრნენ სოფ. მეჯვრისხევის საზოგადოების დავალებით კნეინა ბაბო ერისთავისა, მიხეილ ბუქიაშვილი და სვიმონ კარელიძე, რომლებმაც განსვენებულის კუბო გვირგვინით შეამკეს ზედ წარწერით: „დაუვიწყარს მფარველს თავ. ნიკოლოზ ბიძინას ძეს ერისთავს სამშობლო მეჯვრისხევის საზოგადოებისაგან.“ განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად მ. ნ. ბუქიაშვილმა მეჯვრისხევის სკოლას მთელის წლით გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.

✦ მერვე საპოლიციო უბნის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ხინევიჩი მეორე უბნის ბოქაულის თანაშემწედ დაინიშნა. ხინევიჩის ადგილას მეორე უბნის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი კისელი დაინიშნა.

✦ 26 აპრილს ტფლისში 22 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ** თავის უკანასკნელ კრებაზე დაასრულა განხილვა ქალაქის გამგეობასთან განზრახულ მატერიალურ განყოფილების პროექტისა, რომელშიაც დიდი ცვლილებანი შეიტანა.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათის მაგივრად ხუთშაბათს, 26 აპრილს მოხდა. ხმოსნებმა პირველად ფეხზე დგომით მოისმინეს უმაღლესი დეპეშა, რომლითაც ხელმწიფე იმპერატორი საბჭოს მადლობას უხდის უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოცხადებისთვის და შემდეგ მორიგ საქმეებზე გადავიდნენ. საბჭომ უკამათოდ მიიღო გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქი ტფილისი ადმინისტრატიულად ხელ-ახლად იქმნეს განსაზღვრული. მოხსენება ეკატერინე როტი-

# ძველი ჰანგები და ახალი ფორმა ჩვენს მწერლობაში

**დეკადენტობა-სიმბოლიზმი: დახასიათება და მოკლე ისტორია.**

ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ ლიტერატურა ცხოვრების გამონაშუქია და მისივე გამომხატველი, მაგრამ ბევრს არა სჯერა ეს და გულნატკენი გაიძახის: საიდანა სჩანს? ცხოვრება წინ მიდის, ლიტერატურა კი ჩამორჩაო. შეიძლება ეს ასეც გვეჩვენებოდეს, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ არის. ცხოვრება და ხელოვნება საზოგადოდ და სიტყვაკაზმული მწერლობა განსაკუთრებით, განუყრელი ძმები არიან და კიდევაც განუშორებლად განაგრძობენ საერთო გზას.

ძალიან ძნელია როლი იმ მწერლისა, რომელსაც ხვედრი მწერლობას გარდამავალი ხანის აღნიშვნას არგუნებს. ასეთი მძიმე ტვირთი დააკისრა დრომ და გარემოებამ ჩვენს საეპოსო მწერლობაში, გიორგი წერეთელს რომელმაც რეალისტური მწერლობიდან ნატურალისტურში შესდგა ფეხი; სალირიკო პოეზიაში-ირ. ევდოშვილს—ქალაქის მუშისა და საზოგადოდ მშრომელი ხალხის სულის მესაიდუმლეს. ბოლოს ასეთი როლი ხვდა შალვა დადიანს, რომელმაც ჩვენი მწერლობის ძველ მოტივებს სრულებით ახალი სახე მისცა, ახალი ფორმით შემოსა იგი. მე მოგახსენებთ დეკადენტურ-სიმბოლიურ მწერლობაზე. მართალია დეკადენტობასა და წმინდა სიმბოლიზმს შორის დიდს განსხვავებას არა ჰხედავენ, მაგრამ ეს ორი ნაწილი, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ეს ორი ხანა ერთისა და იმავე მიმართულებისა საკმაოდ განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც თავიანთი მსოფლმხედველობით ისე შინაარსით, უმთავრესი მოტივებით. მე აქ არ შევეხები დეკადენტობა—სიმბოლიზმის ფართო ისტორიას, აღვნიშნავ მხოლოდ მათ განმსხვავებელ თვისებებს, რომ უფრო ნათლად დავინახოთ თუ რატომ და როგორის მნიშვნელობით იხმარება ეს ორი ცნება. ჩვენი დროის დეკადენტობა-სიმბოლიზმი პირველად საფრანგეთში დაიბადა. აქედან გავრცელდა იგი სხვა ქვეყნებში და აქედანვე გადმოვიდა რუსეთსა და ჩვენშიაც. რუსული დეკადენტობა იწყება მეოთხმოცე წლების ბოლოს და ორგანიულად უკავშირდება პობედონოსცევის დროის რეაქციას. ამ დროის დეკადენტურ—სიმბოლიური მწერლობა ებრძოდა მაშინდელ მოღვაწეებს და რუსეთის რადიკალურ იდეებს. იგი სცდილობდა შეეცვალა ძირითადი მიმართულება რუსეთის მწერლობისა, რომელიც დღემდის საზოგადოებრივი სიმართლის ძიებაში გამოიხატებოდა; იგი სცდილობდა ჩაექრო გოდება მწრლობისა ხალხის ჭირვარამზე და მოწოდება მისი საგმირო საქმეების ჩასადენად. იგი სცდილობდა შეექმნა ეგოიზმის აპოთეოზი, სცდილობდა ცხოვრებით თვითმოყვარული დატკბობა წმინდა იდეალიზმით და სიმშვენიერის პრინციპთა უსიცოცხლო თაყვანისცემით გაემართლებინა. მორალისა და პოლიტიკის სრული უარყოფა,—აი უმთავრესი აზრი, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, უმთავრესი უაზრობა, რასაც ჰქადაგებდა რუსეთის რეაქციონური ხასიათის მიმართულება მწერლობაში—დეკადენტობა. ასეთმა ხანამ გასტანა თითქმის ათ წელს, ოთხმოც-და-ათიან წლებამდე. მაშინდელ (1891—2 წლ.) შიმშილობასთან დაკავშირებულმა საზოგადოებრივმა შეგნებამ ისევ ძველი გზისაკენ იბრუნა პირი და მწერლობაც ისევ ძველ სარბიელზე გამოვიდა. უდარდელ-უზრუნველი ესთეტიზმი, ცხოვრების მშვენიერებით დატკბობის თეორია თანდათან მარცხდებოდა და ბოლოს სრულებით განიდევნა. დაიბადა ეგრედ წოდებული „ახალი რელიგიური შეგნება“, რომელიც ყოველგვარ საეკლესიო რელიგიურ აჩრდილსაც კი მოკლებული იყო. ასეთი შეგნება მწერლობაშიაც გადავიდა და იქაც „სიკეთის რელიგია“ დამყარდა. ამის შემდეგ განვითარებულმა დეკადენტობამ ჩვენს მწერლობაზედაც იქონია ჯეროვანი გავლენა. ჩვენი ცხოვრების აუტანელ პირობების დროს, ჩვენ დეკადენტ-მესიმბოლოეთ რომ ხმა არ ამოეღოთ, დანაშაულობა იქნებოდა. ჩვენი მწერლობის უმთავრესი ჰანგები ადრიდანვე მოქალაქეობრივი გრძნობების გაღვიძება იყო და დღესაც ეს საზოგადოებრივი მოტივები შეადგენს მის დამამშვიდებელ მხარეს. მართალია ჩვენს ახალ მწერლობაში იგი ხანდახან საკმაოდ ნათლად არ მოსჩანდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილ ცხოვრებაში მეტის სინათლით და ძლიერებით იჩინა მან თავი. ასეთს დროს კი, როცა მთელი ზღვის გიჟური მღელვარების ხმა მაღლა ცასაც არ ასვენებს, სანაპირო ზვირთის ბურტყუნს ველარ ისმენს ნაოსანი.

ნუ ვიტყვით ვითომ დღევანდელი ჩვენი მწერლობა რაღაც გასართობ ხელობად გადაქცეულიყოს ჩვენი „მწერლებისათვის“. ეს სასტიკი ცილის წამება იქნებოდა. თუ დაუკვირდებით, დავინახავთ, რომ თვით ცხოვრებამ წარმოშვა მწერალთა ეს დიდი გუნდი, ესენიც შეძლებისადაგვარად ეწევიან თავიანთ წმინდა მოვალეობას. თუ ხანდახან მართლა მხოლოდ მწერლობის ქინით შეპყრობილ „მოღვაწეებს“ ვხვდებით, ეს ნუ შეგვაშინებს და გულს ნუ გავიტეხთ: ნამდვილ იდეიურ მთესველთა შორის ყოველთვის მოიპოვება ხოლმე თითო-ოროლა „სიბრძნის“ მთესველიც. ახალმა პოეზიამ სრულებით ახალი მანერა შემოიღო წერისა, ახალი ენა, ახალი სტილი. ეს არ არის რეალისტურ-ნატურალისტური მწერლობის ენა, ეს არც ვაჟას სიმბოლიზმის დასრულებულ-დამთავრებულის სურათების ზღაპრული ფორმაა. ეს წმინდა **იმპრესიონული მეთოდია** წერისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში **შალვა დადიანმა** შემოიტანა. იმპერსიონიზმე მე აქ არაფერს ვიტყვი, რადგან ამის შესახებ უკვე რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა „სახ. გაზ“-ში*). ხოლო ქვემოდ მოვიყვან თუ როგორ უყურებს და აფასებს მას შალვა დადიანი, როგორ ხსნის მის საჭიროებას და როგორ მნიშვნელობას აძლევს ამ სტილსა.

წმინდა დეკადენტობის სათავე მისტიციზმი, პესიმიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმია. ამ სახის დეკადენტობა პირდაპირ სამწუხარო ცდა და გალაშქრება იყო საზოგადოებრივი ასკეტიზმისა და გმირული სულის კვეთების აღმოსაფხვრელად „სიმშვენიერისა“ და ყალბი „იდეალიზმის“ სახელითო, ამბობს პროფ. ვენგეროვი. ამ დროის დეკადენტობა ზნეობას არ დაგიდევდათ, მსხვერპლსა და თავგანწირულებას უარჰყოფდა და სიკეთისაკენ გზას არ ეძებდა. ყველა ამის ნაცვლად იგი აღმერთებდა მხოლოდ ესთეტიზმს, ვაკხანიზმს, გამოურკვეველსა და უპროგრამო სიკეთის მიღწევას. მაგრამ რუსეთის ამ დროინდელი მოდერნისტ-სიმბოლისტები მალე დამარცხდნენ და მათი მოქმედებაც ძველ, საგმირო გზას დაუბრუნდა. აი სწორედ ამ დროს დაიწყეს მოქმედება ჩვენმა მოდერნისტებმაც. მაშასადამე ისინი თავისთავად ასცდნენ იმ ბოროტსა და სამარცხვინო გზას, რომელზედაც შესდგა ფეხი რუსეთის ადრინდელმა სიმბოლიზმმა. თუ მაშინდელი დეკადენტობა უგულოდ უცქეროდა და მტრულად ეკიდებოდა ხალხის ტანჯვა-ვაებას, დღეს სიმბოლიზმმა ისევ მისკენ იბრუნა პირი და აღადგინა ძველი მწერლობის ტრადიციები.

ჩვენებური დეკადენტურ-მოდერნისტული მწერლობა მიმართულებისა და ძირითად მოტივების უარყოფაში კი არ გამოიხატება; მან მხოლოდ გარეგნული ფორმა შესცვალა და ძველი შინაარსი ახალი ფორმით შემოსა. შეიძლება ძლიერ საშიში იყოს ახალი ღვინის, დაუდუღებელი მაჭრის ძველ თხიერებში ჩასხმა, მაგრამ ძველი აზრის ახალ ფორმაში მოქცევას, მე მგონია, არავითარი საფრთხე არ უნდა მოელოდეს არც ერთსა და არც მეორესათვის. დადიანისებური „ჩამოკრულებით“ წერა ლიტერატურული ნაწარმოებსა მაშინ, როცა თითქმის სულიერ ავადმყოფობასა და ნერვებ აშლილობას განვიცდით, პირდაპირ ხსნა იყო ჩვენი დროისათვის. ჩვენ კი, ძველს მიჩვეულნი, ამას ვერ ვამჩნევთ. სული ვერ აკვირდება დადინჯებულად ჩქარწარმავალ ცხოვრების სურათებს და ისიც აჩქარებით მისდევს მისი სახის სწრაფლ ცვალებადობას. აი ამაში გამოიხატება უმთავრესი დამახასიათებელი მხარე და დანიშნულება ჩვენი დეკადენტურ-სიმბოლიურ მწერლობისა. იგი ადრინდებულად სიმართლეს ეძიებს და მის საშუალებად კაზმული სიტყვიერების ახალი ფორმა უცვნია. ნუ გვგონია, ვითომ ჩვენი მესიმბოლოელნი ძველ, ადრინდელ მწერლობასთან შედარებით უფრო ზერელედ უყურებდნენ ამ ნაანდერძევ ჭეშმარიტების მოპოებას. ესენი ისე ღრმად და ფართოდ ეხებიან და უკვირდებიან საკითხს, (ზოგიერთი მათგანი მაინც) რომ პირდაპირ გაოცებული ხარ როგორ ბედავენ მთელი საკაცობრიო აზრებისა და რთული ცხოვრების საკითხების გადაწყვეტას. მართალია, ყოველთვის თანაბარის სისწორით ვერ გვიხატავენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები ამ დიდ საკითხებს და მას სავსებით ვერა ჰფენენ საჭირო ნათელს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ესენი მაინც გამარჯვებულნი გამოდიან ბრძოლის ველიდან. სიმბოლიური მწერლობა მოითხოვდა წერის ახალ მანერას, ფორმას. ჩვენმა მწერლებმაც შექმნეს, ან, უკეთ რომა ვსთქვათ, გადმოიღეს, გადმოიტანეს უცხო მწერლობიდან იმპრესიონული მეთოდი. პირველი ადგილი აქ, როგორც ზევითა ვთქვი, შალვა დადიანს უჭირავს. პირველად **იმან** დაიწყო „ჩამოკრულებით“ წერა, მოგვცა ამის მშვენიერი ნიმუშები და დაჰბადა, გაიჩინა მთელი დასი ახალგაზრდა მიმდევართა, რომელთა რიცხვში შედიან: ნ. ლორთქიფანიძე და ტ. ტაბიძე, როგორც უფრო ახლოს მდგომნი მასთან, და აგრეთვე ს. გლახაშვილი, ივ. ბარველი და სხვა მრავალნი. ეს უკანასკნელნი დადიანისებურის სტილითა სწერდნენ და სწერენ ეხლაც (თუმცა იშვიათად) მაგრამ დადიანის სტილამდის ვერც ერთი ვერ ამაღლებულა.

(შემდეგი იქნება)

გ. ქუმბურიძე.

*) იხ. „სახ. გაზ.“ 1911 წლ. აპრილის ნომრებში **აკ. პაპავას** წერილი, ეგრეთვე № № 293, 295 და 296.

ნოვის მამულის (დიდის მთავრის ქუჩაზე) შესყიდვის შესახებ არ იქმნა განხილული, რადგანაც ამ საკითხის განსახილველად საჭირო იყო 40 ხმოსნის დასწრება, კრებაზე კი ამდენი ხმოსანი არ აღმოჩნდა. ამავე მიზეზით არ იქმნა განხილული ნაძალადევთა და ლოტკასგორელთა რწმუნებულის ა. ს. ღულაძის თხოვნა მამულების გამოსყიდვის პირველ მუხლის გაუქმების შესახებ. ქალაქის სპეციალურ თანხების ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის განხილვასაც საბჭო ასე აჩქარებდა, ამ საღამოს რაღაც მიზეზით აღარ განუხილავთ. მიზეზი, ალბად, ის იყო, რომ კრებას არ დაესწრებია ხმოსანი ბეზობრაზოვი, რომელმაც წინად წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და რომლის მეოხებითაც საბჭომ ხარჯთ-აღრიცხვა გამგეობას უკან დაუბრუნა ხელ-მეორედ შესადგენად. გამგეობის მოხსენება საკანცელარიო განყოფილების მოქმედების შესახებ საბჭომ დაიწუნა და დაავალა გამგეობას, უფრო ვრცელი მოხსენება შეადგინოს ამ საგნის შესახებ.

✦ **ტფ. სახლის პატრონთა საზოგადოების წესდება** გუბერნატორმა დაამტკიცა.

✦ **საარქეოლოგიო საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს 8 საათზე, მოხდება საგეოგრაფიო საზოგადოების შენობაში.

## სასამართლო

✦ **ინჟენერ ბატალის და სხვათა საქმე.** 26 აპრილს ტფ. სამოსამართლო პალატამ ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების საქმე გაარჩია. სამართალში მიცემულნი იყვნენ ტფ. ტრამვაის დირექტორად ნამყოფი კარლ ბატაილი, სატეხნიკო ნაწილის გამგე რენე იზამბერგი და საექსპლოატაციო ნაწილის გამგე ალექსანდრე ალექსანდერი. პირველს ბრალად ედებოდა ის, რომ ზომები არა ჰქონდა მიღებული ვერის უბედურების ასაცდენად, ხოლო მეორეებს ის, რომ ეს ამბავი მათ იცოდნენ და ზომები არც მათ მიიღეს. ოლქის სასამართლომ დანაშავედ იცნო ბატაილი და ალექსანდერი და მიუსაჯა პირველს ოთხის თვისა, ხოლო მეორეს-ექვსის თვის ციხე. პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომელიც ბრალდებულებმა განასაჩივრეს, დაამტკიცა. ამასთანავე დაადგინა, აიძულოს ტრამვაის დირექცია, რათა ტრამვაის ვატმანს (დაშავებულს თვეში სამი თუმანი აძლიოს მორჩენამდე.

✦ **გაზ. „სინათლის" რედაქტორ ივ. როსტომაშვილის საქმე.** როგორც მკითხველებმა იციან, შარშან „სინათლის" რედაქტორი ივ. როსტომაშვილი ტფ. სამოსამართლო პალატამ გაასამართლა სისხლის სამართლის ძე-129 მუხლის ძალით და სრულიად გაამართლა. ბრალმდებელმა ეს განაჩენი სენატში განასაჩივრა, რომელმაც საქმე ხელმეორედ გასარჩევად პალატას დაუბრუნა. წელს პალატამ უფროს თავჯდომარის ლაგოდას თავჯდომარეობით საქმე გაარჩია, ივ. როსტომაშვილი დამნაშავედ იცნო და ღირსების აყრა და გადასახლება გადაუწყვიტა. ბ-ნმა როსტომაშვილმა, რომელიც უკვე ციხეში ზის, ეს განაჩენი სენატში განასაჩივრა. როგორც გუშინ ძოსულ დეპეშის ცნობა გვძოგვცემს, სენატს ივ. როსტომაშვილის საჩივარი შეუწყნარებია, ტფ. პალატის განაჩენი გაუუქმებია და დაუდგენია: საქმე კვლავ დაუბრუნდეს პალატას ხელ-ახლა გასარჩევად.

## სასწავლებლებში

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიის** უკანასკნელ კლასის მოსწავლეთ ეგზამენები 28 აპრილს დაეწყობათ და 28 მაისს გაუთავდებათ.

✦ **ქართულ გიმნაზიის** უკანასკნელ კლასის მოსწავლეთ ეგზამენები უკვე დაეწყოთ. გაუთავდებათ 9 ივნისს.

✦ **ავლაბრის პროგიმნაზიის** საპედაგოგიო საბჭოს საპატიო მზრუნველად ქალაქის საბჭომ ხმოსანი ა. ს. ბაზოვი აირჩია.

## სომეხთა ცხოვრება

✦ „პეპოს" ძეგლის ფონდის სასარგებლოდ დღემდე „მშაკის" რედაქციას მიუღია 248 მანეთი.

✦ „მშაკის" საიუბილეო კომიტეტმა ამ გაზეთის ფონდის სასარგებლოდ მიიღო მ. ქალანთარიანისაგან 300 მანეთი.

✦ ამერიკაში მოსწავლე სომხის სტუდენტებს აზრადა აქვთ სომხურ ბეჭვდითი სიტყვის 400 წლის შესრულების გამო გამოცემათა გამოფენა გამართონ.

✦ სომხურ საეთნოგრაფიო საზოგადოება მუზეუმსა ხსნის გოლთაანში (აქულისის სამაზრო ქალაქში.)

## ქუთაისი

✦ **ყაჩაღებთან შეტაკება.** შორაპნის მაზრაში შეტაკების დროს პოლიციამ დასჭრა და ცოცხალივ შეიპყრო ყაჩაღთა ბრბოს მეთაური ჯაში. პოლიციელების მხრივ ორი დაიჭრა. ყაჩაღთაგან მოკლულ იქმნა ერთი როგორც ამბობენ. ყაჩაღთა შორის არის ლორთქიფანიძეც, რომელმაც ქუთაისის გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის დირექტორები დასჭრა.

✦ 24 აპრილს დაიწყო სიმწიფის მოწმობის მისაღებად **გამოცდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა.** დეპუტატად დანიშნულია ურიუპინის რეალური სასწავლებლის დირექტორი შილიაევი. რუსული ენის თემა სამასწავლებლო ოლქიდან მოვიდა ამ შინაარსის: დამტკიცდეს ლიტერატურული და ისტორიული ცნობებით იმ აზრის სიმართლე, რომ შეერთებული ჭკუა, ნება და გრძნობა საჭიროა საზოგადო მოღვაწის ნაყოფიერი შრომისათვის.

მთავრობის საშუალო სასწავლებლებში უკანასკნელ კლასებისათვის **გამოცდა** დაიწყება 27 ამ თვეს. ფიქრობენ, რომ რუსული ენის ტემა მთავრობის სასწავლებელთათვისაც ტფილისიდან მოვა.

✦ ქუთაისის **საადგილ-მამულო ბანკის** გამგეობის თავმჯდომარე—თ-დი ფაღავა ბანკის საქმეების გამო ქ. ფარიზში იყო და უკვე დაბრუნდა ქუთაისში.

✦ **ჭლექიანების დამხმარე საზოგადოების** განყოფილება ქუთაისში ჯერ ოფიციალურად არ დაარსებულა. ამიტომ გვირილობის შემოსავალი გაიგზავნება ტფილისში ცენტრალურ კასის გასაძლიერებლად.

✦ მიუხედავად იმისა, რომ თ-დი ფარსადან მიქელაძე დიდი ხანია დამტკიცდა თავად-აზნაურთა წინამძღოლად და ამის შესახებ უმაღლესი ბძანებაც დაბეჭდილია, თვით თ-დ მიქელაძეს თავის დამტკიცების ცნობა არ მოსვლია და ამიტომ თავის მოვალეობის აღსრულებას არ შესდგომია.

✦ ქუთაისში სამი სინემატოგრაფი მოქმედობს და ზოგიერთი მათგანი კვირა და უქმე დღეებში დილის წარმოდგენებსა მართავენ ბავშვებისათვის. ჩვენ არა ერთი მშობლისაგან გაგვიგონია, რომ მათ ბავშვებისათვის შერჩეული სურათები არ აქვთ და საბავშო გასართობების მაგივრად ხვევნა-კოცნისა და ტლაშა-ტლუშის მოწმენი ხდებიან ბავშვები. ასეთი მოქმედება სინემატოგრაფებისა, მეტი რომ არა სთქვათ, დასაგმობია.

✦ 25 აპრილს დამთავრდა საქმე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის წევრად ნამყოფის თ-დი კირილე ლორთქიფანიძისა და ამავე საზოგადოების საბჭოს წევრად ნამყოფთ ბ-ნთ დავით ბაქრაძის, სტეფანე ფირალოვის, ლევან ყოყოჩაშვილისა და კოტე გოცირიძის, რომელთაც ბრალად ედებოდათ ზარალის მიყენება საზოგადოებისათვის თავის მოვალეობის აღსრულების დროს. ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ბ-ნი ბაქრაძესა და ლორთქიფანიძეს მიუსაჯათ სამი წლის ციხე, გოცირიძეს $3\frac{1}{2}$ წელიწადი საარესტანტო როტებში, ხოლო ფირალოვსა და ყოყოჩაშვილს ოთხ-ოთხი თვით ციხე. პირველ ორს შეღავათი მიეცათ მოხუცებულების გამო.

✦ ამას წინად **ხმოსანმა გრ. გველესიანმა** ქუთაისის საბჭოს მორიგ სხდომაზე განაცხადა, რომ ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრას **წმ. ნინოს სასწავლებლის** დასჯილ მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ ცნობისათვის უმაღლეს მთავრობას ყურადღება მიუქცევია და ქალაქის თავს შეჰკითხებიან რათ მიეცი ბ-ნ გველესიანს შეკითხვის ნებაო.

✦ **წმ. ნინოს სასწავლებლის** გამგე ტიმჩენკო იაროშენკო თუმცა სამსახურში ითვლება, მაგრამ ქუთაისში არ იმყოფება და როგორც ირკვევა, არც მოვა, ხოლო მომავალ სამოსწავლო წლიდან სრულებით გადაყვანილი იქნება.

✦ ამა თვის შუა რიცხვებში ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე დ. ხონის **პოლიციის ბოქაულის ნ. ლორთქიფანიძისა,** რომელსაც ბრალდებოდა უფლებით გადაჭარბება ს. ვანში ბოქაულად ყოფნის დროს. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექი-

# გუშინ იქუხა...

გუშინ იქუხა... ელვის ფრთა
ცას და ქვეყანას სწვდებოდა;
ხმა მეხთ ტეხისა, შორით—შორს,
გრგვინვა—ჭექით ა კვდებოდა!..
გულში დაიძრა გრიგალი,
სულს ცეცხლის ალი მოჰფინა;
მომცა არწივის კლანჭები
და მითხრა: „გასწი კვლავ წინა!.."

—

აწ ძირს დაემხე ვაებავ,
სევდავ, ცრემლო და წუხილო...
ამიერიდან თქვენი ვარ
ელვავ და ჭექა—ქუხილო!..

**ახოსპირელი.**

ლი ა. გელზასოვი; სასამართლომ ბრალდებულს გადაუწყვიტა სამსახურიდან გადაყენება.

✦ **„თეთრი ყვავილის"** დღესასწაულობას 20 აპრილს მეტად შეუშალა ხელი უამინდობამ; იმ დღეს დილიდან ნაშუადღევის ორ საათამდე იწვიმა, შემდეგ კი გადაიღო საღამომდი, სულ დარიგებული ყოფილა 40 ყულაბი რომლებშიაც აღმოჩენილა 2,800 მანეთამდი.

✦ 21 აპრილიდან ისევ **წვიმს** გადაუღებლივ; მდ. რიონი ძლიერ დიდია; აცივდა, რეომიური 6° ჩამოვიდა, ხეხილი მომწვარია.

✦ **უნუგეშო მდგომარეობა.** მეორე თვე გადის, რაც ლოგინად ჩავარდნილია ქუთაისის ქალაქის გამგეობის მსახური ირაკლი კინწურაშვილი, რომელმაც ათ წელს იმსახურა ერთგულად ამ დაწესებულობაში. დღეს რადგანაც გამგეობამ სამი თვის შემდეგ ჯამაგირი მოუსპო, მეტად უნუგეშო მდგომარეობაში არიან, როგორც ავადმყოფი აგრეთვე ცოლი და სამი მცირე წლოვანი ბავშვი. საჭიროა ქალაქის თავმა შეიტანოს საკითხი საბჭოში და ათი წლის სამსახურისათვის ათი თუმანი მაინც მისცენ გაჭირებულ ოჯახს და ავადმყოფს ერთ დროულ დახმარებად.

✦ მესხეთის ქუჩის მცხოვრებნი საყვედურს აცხადებენ ქალაქის გამგეობაზე იმის გამო, რომ კარგა ხანია, რაც ფანრების დასადგმელად ფული გადაუხდიათ და **ფანრები კი ჯერ არ დაუდგავს გამგეობას.**

## ბათუმი.

✦ **ნორმალური დასვენება.** ქალაქის წყალ სადენის აგენტმა ბ-ნმა ანანიევმა წერილობითის მოხსენებით მიმართა ქალაქის გამგეობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყველა ქალაქების წყალსადენის მოსამსახურენი კვირა-უქმეებში ისვენებენ, ამიტომ ეს წესი ბათუმის ქალაქის წყალსადენის მოსამსახურეებისთვისაც იქმნეს შემოღებულიო.

✦ **ალწერილობა.** პეტერბურგის ალმწერი ბიურო სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს მას ბათუმის პირველ დაწყებითის სკოლების მოწაფეთა რიცხვი. (ბათ. გაზ.

## სოფლად.

✦ **სოფ. სხვავში** (რაჭა) პარასკევს, 4 მაისს, დილის 9 საათზე, აგილობრივ სკოლის დარბაზში **ი. გაბილაია წაიკითხავს ლექციას** კოოპერაციაზე.

# გვირილობა

## დღეს შეგროვილ ფულის ანგარიში

21, 22 და 23 აპრილს პოლიციისა, ქალაქის თვითმმართველობისა და „ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების" წარმომადგენელთა თანადასწრებით დათვალეს „გვირილობა" დღეს შეგროვილი ფული. 445 ყულაბაში სულ აღმოჩნდა 16,886 მანეთი და 62 კაპ. ამას გარდა ყულაბაში აღმოჩნდა 65 ცალი უცხოეთის ფულისა და 35 კ. წვრილი ფული ($\frac{1}{2}$ კაპ.). სხვა და სხვა პირთაგან ცალკე შემოწირულება იყო სულ 544 მ. 69 კ.

გარდა ამისა „გვირილობა" დღეს საგანგებო მიზნებისათვის შემოსწირეს:

1) ე. ა. ამირაგოვმა სანატორიუმში ა. ი. გურგენოვის სახელობის კრაოტის დასადგმელად 1500 მანეთი.

2) შესტაკოვის სკოლის მოწაფეთაგან 11 მანეთი.

3) შხიანცისაგან 131 მანეთი და ორი შაური.

4) ქ-ნ არუთინოვისაგან ბავშვთა კალონიებისათვის 10 მანეთი.

სულ ამრიგად „გვირილობა" დღეს ტფილისში შეგროვდა—17,431 მანეთი და 31 კ.

# ფრინველების გამოფენა ქ. გორში.

დიდებული მომავალი მოელის გორის მაზრას, თუ მისი ბედის ჩარხი განგებამ უკუღმა არ შემოატრიალა. მეურნეობა წელში იმართება. ხსენებული მაზრა მდიდარია პურით, ყველა კარგად იცნობს აქაურ ხილს, ბლომად მოდის კომბოსტო, ქარხალი, ზოგან, თუმცა ნაკლებ, მისდევენ მეაბრეშუმეობას. ამ ბოლო დროს კი ჩვენმა მეურნეებმა ყურადღება მიაქციეს მექათმეობას, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კვერცხის მოთხოვნილება ფრიად დიდია და თან და თან იზრდება, თუ გავიხსენებთ, რომ შავი ზღვით საზღვარ-გარედ კვერცხს მილიონობით ეზიდებიან, მექათმეობამ ჩვენს მეურნეობაში პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს. აქნობამდის ჩვენში ამ შემოსავლიან დარგს მეურნეობისას ან სულ არ აქცევდნენ ყურადღებას, ან თუ აქცევდნენ, ფრიად მცირედს. მახსოვს ამ საძი წლის წინად ფრინველების მოშენებელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ ფრინველების გამოფენა, რომ გამართა პირველად, ხალხმა ცოტა არ იყვეს ალმაცერად შეჰხედა ფრინველების მოშენების საქმეს, მით უმეტეს რომ თითო კვერცხი 20-40 კაპ. იყიდებოდა. გავიდა ხანი. მეურნეობამ უკარნახა ზოგიერთთ, მოეკიდათ ხელი ზემოხსენებულ დარგისათვის. გაიჩინეს საუკეთესო ჯიშის ქათმები. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. გაჩაღდა ქიშპობა. საუკეთესო ჯიშის მოშენებაში ერთი მეორეს ეჯიბრებოდა, გამოფენებზე ტფილისში თუ ადგილობრივ ერთი მეორეზე უკეთეს ჯილდოს იღებდა. ნელ-ნელა გაიზარდა მეფრინველეობის მოყვარულთა წრე და თუ წინად მხოლოდ 2-3 კაცი მისდევდა ამ საქმეს, დღეს ეს წრე მცირე ხანში მთელ განყოფილებად გადაიქცა. დღეს წრეში შედის აფიცერიც, მასწავლებელიც, მომრიგებელი მოსამართლეც, ამ ბოლო დროს კი გამორეულა ერთი გლეხიც. საქმის რიგიანად დაყენებისათვის წრემ შარშან გახსნა ადგილობრივი განყოფილება ფრინველთა მომშენებელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოებისა.

განყოფილება ყოველნაირად სცდილობს ხელი შეუწყოს გორის მაზრაში მექათმეობის გავრცელებას. ჰმართავს ყოველწლივ მორიგ გამოფენას, აპირობს მოძრავ გამოფენის მოწყობას, რომ უფრო პოპულიარული ხასიათი მისცენ საქმეს და სხვ. განყოფილებამ წელსაც, 21—23 აპრილ გამართა ფრინველების მორიგი (მეორე) გამოფენა. გამოფენა გამართულია გორის სახაზინო სასწავლებლის დარბაზში. კარგა ხანია ალარა ვყოფილვარ გორში და გამოფენაზე რომ მივდიოდი, დარწმუნებული ვიყავ, რომ გარეშე ექსპონენტებიც იქნებოდნენ მონაწილე, თუმცა გამოფენა ადგილობრივ განყოფილებას ეკუთვნოდა. დარბაზში შესვლისთანავე ფიქრი გამიცრუვდა. გამოფენა ჩვეულებრივ ლამაზი იყო, მდიდარი, რამდენადაც გორის წრის განყოფილებას შეეფერებოდა, მაგრამ ერთი გარეშე ექსპონატიც (გამოსაფ. ნიმუში) არსად სჩანდა. სჩანს რიგიანად დაწყებულ საქმეს მცირე ხანში რიგიანი ნაყოფიც მოუტანია. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ მცხოვრებნი ვ. ენგელძანი, დ. მაჭავარიანი, ნ. მდივანი, ერისთავები, გლეხი სეხნიაშვილი, ნ. ლომაური და სხვ. დიდი ნაწილი ექსპონატებისა ეკუთვნის ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარეს ბუდიანსკის. გამოფენილი ჰყავს ქათმები ორპინგტონი, ლანგშანი, პლიმუტროკი, ფავეროლი, „კუკუ-დე-მალინი", შავი მინორკა, სპარსული ხოხობი, იხვები—რუანული, პეკინური, ბატები—ემდენური, ხოლმოგორული, ტულუზური და სხვ. ამ უკანასკნელ ორი ჯიშის ბატებისა და პლიმუტროკის ჯიშის ქათმებისათვის დაჯილდოვებულ იქმნა მეფრინველობის მოყვარულთა ამიერ-კავკასიის საზოგადოების ოქროს მედლით.

ვ. ენგელმანი. კონკურს გარეშე გამოუფენია პლიმუტროკის, შავი მინორკის ჯიშის ქათმები, ტულუზური ბატი ჭუჭულებით, ხოლმოგორული ჯიშის ბატი. ამ ბატებისათვის დაჯილდოვებულ იქმნა საექსპერტო კომისიის მიერ ფრინველთ მომშენებელ რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების დიდი ვერცხლის მედლით. ბ. ენგელმანი ერთი პირველ პირთაგანია, რომელმაც მეფრინველეობას მოჰკიდა ხელი და კარგადაც აქვს დაყენებული საქმე. წარსული წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია დიდი ოქროს მედლით და ტფილ. გუბ. წინამძღოლთა და დეპუტატთა პირველი საჩუქრით.

(დასასრული იქნება)

**გ. ანიძე.**

# მოხსენება სენაკის მაზ. თავად-აზნ. კრებისა.

(დასასრული *)

რასაკვირველია სკოლას თავისთავად კი არა აქვს ისეთი ჯადოსნური ძალა, რომ ვინც მაში ფეხს შესდგავს, ყველა უნივერსიტეტის კარებამდის მიიყვანოს, მაგრამ ცნობილია, რომ კაცს გაბედვა უჭირს და თუ ერთხელ გარემოებამ გააბედვინა და შესტოპა საქმეში, მერე უკან დახევა გაუძნელდება. ეს სკოლა სწორედ ამ მხრით უწევს სამსახურს ადგილობრივ მკვიდრთ. ის სიახლოვით და სიიაფით აბედვინებს მშობლებს ყმაწვილის სასწავლებლად შეიყვანოს. ოთხს წელიწადს ღარიბი მშობელი იოლად მიდის და მერე კი, თუ ყმაწვილმაც ნიჭი იჩინა, მას უსათუოდ გზავნის გიმნაზიაში.

მე ერთი მაგალითი დავასახელე, მაგრამ განა ასეთი მაგალითები ცოტაა! თორმეტი წელიწადია მე აქ ვარ; ყოველ წლობით თუთხმეტიდან-ოცამდე ყმაწვილს გზავნის სკოლა გიმნაზიის პირველ კლასში; იმათგან მესამედი მაინც ყოველ წლობით ასრულებს გიმნაზიას და მაღალ სასწავლებელში მიდის. გარწმუნებთ, ბატონებო, რომ მათ შორის ისეთი ღარიბი გლეხების შვილებიც ვიცი, რომ თუ ეს სკოლა აქ არ ყოფილიყო, მათი მშობლები ვერც გაიგებდენ რა არის გიმნაზია და მით უმეტეს უნივერსიტეტი. აი, ბატონებო, პრაქტიკული სარგებლიანობა სკოლისა. ყოველივე ეს ალბად გათვალისწინებული ჰქონდათ სკოლის დაარსების დღეს და მისთვის იდღესასწაულეს ეს დღე ასე დიდი ამბით.

დიახ, დიდი ამბით იდღესასწაულეს სკოლის დაარსება და მის დამაარსებელთა სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნივთიერადაც სამაგალითოდ უზრუნველ ჰყვეს იგი. შტატი და ბიუჯეტი ამ სკოლისა დიდად განსხვავებული იყო სოფლის სკოლების ამავე პირობებთან შედარებით. ოთხ განყოფილებიან სკოლისთვის ხუთი მასწავლებელი და 7,000 მანეთი ბიუჯეტი ევროპიული კეთილ განწყობილება სოფლის სკოლისთვის, სამაგიეროდ თამამად შეიძლება ადვიაროთ, რომ სკოლის მსახურნიც იმ თავიდანვე სამაგალითოდ პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. კერძოდ, ბ. სამსონ ყიფიანმა თავის ენერგიული შრომით 16 წლის განმავლობაში სკოლის ქონება 20 ათასი მანეთის ღირებულობისა გახდა. დიდი შემწეობა მიიღო მან უგანათლებულეს თავად ნ. მინგრელსკისაგანაც და ამგვარად გაუჩნდა სკოლას მშვენიერი საკუთარი ეზო და ორ სართულიანი ქვის შენობა.

მართალია, ბატონ ყიფიანსა და მასწავლებელთა შორის უკანასკნელ ხანებში ერთხანად კეთილგანწყობილება შეირყა; რამაც სკოლის ცხოვრებაზეც ალბად ცუდი გავლენა მოახდინა, მაგრამ ეს დროებითი ანორმალობა იყო. მე, რასაკვირველია, ნებას არ მივსცემ ჩემ თავს, რომ რომელიმე მხარეს მსჯავრი დავსდო, მხოლოდ თუ ეს გარემოება მოვიგონე, მოვიგონე ერთი ფაქტის აღსანიშნავად, უკმაყოფილო მასწავლებლები სხვათა შორის იმაშიც ბრალს სდებდნენ ყიფიანს, რომ იგი სწავლის შემდეგ მოსწავლეებს იბარებდა და ასწავლიდა, ეს ბრალდება რასაკვირველია პროტესტის ქინით იყო გამწვავებული, თორემ ზედმეტი შრომისთვის მადლობის მეტი რა ეთქმის მასწავლებელს?

ამ თორმეტი წლის განმავლობაში ჩემთან ბევრი კარგ მასწავლებელს უმსახურნია აქ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველა ჩვენგანს წილი გვიდევს იმ დანაშაულში, რაშიც ყიფიანს ამტყუნებდნენ: დიახ, ყველა ჩვენგანი ცდილობდა [illegible] ში სწავლის შემდეგ [illegible] ვიზარდოთ ყმაწვილებს [illegible]. [illegible] ნებულიც ვართ, რომ ეს მეცადინეობა უნაყოფოდ არ იკარგება; ამას მოწმობს სარევიზიო შენიშვნები იმ რევიზორებისა, რომელთაც გზავნის წ. კ. გ. ს. გამგეობა. გადაათვალიერეთ ამ საზოგადოების ანგარიშები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა რევიზორების მოხსენებანი ამ სკოლის შესახებ იწყება ან თავდება ამ სიტყვებით: **საზოგადოდ სენაკის სკოლა ერთი საუკეთესოთაგანიაო" და სხვა.** მაპატიეთ, ბატონებო! მე თვით კარგად ვგრძნობ, რომ უხერხულია ჩემთვის ამ საგანზე ლაპარაკი, რადგან ეს ერთი თავის ქებასავით გამოდის, მაგრამ ჩემი მიზანია სკოლის ყოფა ცხოვრება ყოველ მხრივ გაგაცნოთ, და სკოლა ხომ მე არა ვარ.

აი, ბატონებო! ასეთი იყო ეს სკოლა დღემდე და მოსალოდნელი იყო მომავალში დროის შესაფერად გაუმჯობესდებოდა, მაგრამ ვაი რომ ჩარხი უკუღმა დატრიალდა!

როგორც მოგეხსენებათ, ამ სკოლის მასაზრდოებელი წყარო ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი იყო. 1900 წლამდე ეს დაწესებულება სენაკის სკოლის შესანახავად 7004 მანეთს იძლეოდა. 1900 წლიდან 1906 წლამდე ეს სუბსიდია 1000 მანეთით შემცირდა. 1906 წელს კი, 5000 მანეთზე დააყენეს ბანკის დახმარება. სუბსიდიის შემცირებამ გამოიწვია სკოლაში სწავლის ფასი ყველა წოდების მოწაფეზე, მაგრამ სკოლის პედაგოგიური საბჭო იძულებული იყო ყოველ წელს მოსწავლეთა რიცხვის დიდი პროცენტი განთავისუფლებინა გადასახადიდან სიღარიბის გამო. საშუალოდ სწავლის ფასი 500-დან 1000 მანეთამდე იკრიბებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ სხვა და სხვა წლებში სწავლის ფასიც სხვა და სხვა იყო. სულ პირველად, წლიურთ ექვსი მანეთი იყო გადასახადი; მერე ათი მანეთი; ერთ-ორ წელიწადს ხუთმეტი მანეთიც შემოიღეს. ამ გარემოებამ შეამცირა მოსწავლეთა რიცხვიც და შემოსავალსაც არაფერი შეემატა; ამისთვის ეს ორი წელიწადია ასეთი წესი იქმნა შემოღებული: 1 და 2 გან. წლიურად 6 მანეთს იხდიან; 3-ში 10 მან. ხოლო 4—15 მან.; თქმა არ უნდა, ეხლაც ეძნელებათ ფულის გადახდა და ხშირად საყვედურები გვესმის მშობლებიდან, მაგრამ ასე თუ ისე ამ ჟამად ათას მანეთამდე სწავლის ფასი იკრიბება.

ეს მეორე წელიწადია მხოლოდ სწავლის ფასი დარჩა სკოლას საარსებო წყაროდ, რადგან, როგორც ვიცით, მინისტრის განკარგულებით ბანკი არაფერს იძლევა. ამ წლებში მასწავლებლები სამი ოთხი თვეობით უჯამაგიროდ რჩებიან და ცუდ მდგომარეობას განიცდიან რასაკვირველია. ამ კრიზისს შარშან მაისში მარცხიც დაერთო, სკოლის შენობა დაიწვა და სკოლის ყოფნა არ ყოფნის საკითხმა უფრო მწვავედ იჩინა თავი. რა თქმა უნდა ამ მარცხმა შეაფერხა სკოლის კეთილ-დღეობა, მაგრამ რაკი სკოლის შენობები დაზღვეული აღმოჩნდა, ზარალი არც ისე მწვავე იყო, რომ მას წამოეყენებინა სკოლის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. სკოლის მზრუნველობამ დამზღვევი საზოგადოებიდან დამწვარ შენობათა საზღაური 10,300 მანეთი მიიღო და თუ ეს ფული მას დღეს უკლებლად ჰქონდეს ხელში, შენობის განახლება უზრუნველყოფილი იქნება; მაგრამ შენობის განახლებას რა აზრი აქვს, თუ სკოლას შესანახავი მუდმივი საშუალება არ აღმოუჩინეთ?

ბატონებო! დღევანდელი თქვენი კრების ერთი უმთავრესი მიზანთაგანი ამ მუდმივი წყაროს აღმოჩენაა. უეჭველია თქვენს ცოდნას და გამოცდილებას არ დაიშურებთ ამ გზათა საჩვენებლად, მაგრამ, სანამ ამის ძიებას შეუდგებოდეთ, სასურველია დაყენებულ იქმნეს პრინციპალური საკითხი: ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე ამ სკოლის შესახებ მოგახსენეთ, შესაძლებელია თუ არა ეს სკოლა სამეგრელოს მკერდიდგან მოსწყდეს და დაიხუროს?! მე მოგახსენებთ, რომ ეს იქნება უმადურობა სასიქადულო მამულიშვილთა წინაშე, დანაშაული ხალხის წინაშე, და სასირცხვო ისტორიის წინაშე. სკო-

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 582.

ლა არამც თუ უნდა დაიხუროს, ის უნდა გავაფართოვოთ და გამშვენიერდეს თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვით; ახალს მე არაფერს ვამბობ და დარწმუნებული ვარ ამისი ყველანი თანახმანი ბრძანდებით. ახლა კი თავისთავად იბადება შემდეგი რიგი კითხვებისა:

1) რა საშუალებით უნდა იქმნეს აღდგენილი სკოლის შენობა?

2) ამ საშუალებათა მიხედვით რა სახით უნდა განახლდეს ის; გადაკეთდეს ძველი, თუ აშენდეს ახალი!

3) რა საშუალებით უნდა იქნეს შენახული სკოლა, სანამ ბანკიდგან რომ დაენიშნებოდეს.

4) ამ საშუალებათა მიხედვით, როგორ უნდა მოეწყოს სკოლის მართვა-გამგეობა;

ვასრულებ რა ამით, ვიმედოვნებ ეს კითხვები საჭირო შესწორებით წამოყენებულ იქნება და, როდესაც ისინი სჯა-ბაასს გამოიწვევს, მეც მოგახსენებთ ჩემს აზრს ყოველი კითხვის შესახებ.

მართალია ამ კრების გადაწყვეტილებას, მინამ საგუბერნიო კრება დაადასტურებდეს, იურიდიული ძალა არ ექნება, მაგრამ ფაქტიურად ის მაინც დიდ მორალურ ღირებულებას წარმოადგენს. მაშ ვისურვოთ, რომ ეს კრება ისეთი სასოებით მოეგონებინოს შთამომავლობას, როგორც მე მოვიგონე 28 წლის წინად აქ მომხდარი კრება.

პ. ლორთქიფანიძე.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სმირნიდან იტალიელები გააძეოს, ოტომანის სააგენტო იუწყება, კუნძულ როდოსზე ოსმალებმა 1000 იტალიელი ტყვედ ჩაიგდესო. ოფიციალურად ეს ხმა არ დაუდასტურებიათ. დიმრუს მიმავალ სამინისტრო მატარებლის ასაფეთქებლად, რომელშიაც შინაგან საქმეთა მინისტრი იჯდა, ოხრიდის ხიდ ქვეშ ჯოჯოხეთის მანქანა იპოვნეს.

**რომი.** სტეფანის სააგენტო უარჰყოფს, ვითომც ათასი იტალიელი ოსმალებს ტყვედ ჩაჰვარდნოდეთ, არც-ისაა მართალი გაიმარჯვეს და ვითომც ლემნესის მახლობლად იტალიის ფლოტის ნამსხვრევები ენახოთ.

სტეფანი იუწყება: კრეისერმა „დუკადიჯენოვამ“ აიღო ოსმალეთის სადარაჯო კალკიასში, ხელთ იგდო უნტერ-აფიცერი და 13 ჯარის კაცი.

## არეულობა სპარსეთში

### დეპეშები

**თავრიზი.** შუჯა-უდ-დოულეს მეცადინეობით მიმდინარე თვეში გაანაღდეს 91,000 თუმანი, რომელსაც რუსეთის ქვეშევრდომნი სპარსელებს ედავებოდნენ. მთავრობის ჯარი ზენჯანიდან გამოვიდა გაიარა 30 ვერსი და შეჩერდა, ალბად იმის გამო თუ, რომ იმ მიდამოებში სალარ-უდ-დოულეს რაზმები გაჩნდა. ხმა დადის, არდაბილიდან მხედრებით წასულა, ხალხას გუბერნატორის ძმა. რეშიდ-ულმე-ალიკს განუცხადებია: ფერმან-ფერმას მსურს მივეშველოვო და სალარ-უდ-დოულესთან შესაერთებლად ხამადანისკენ წასულა.

აქაურმა ვაჭრებმა ბრძანება მიიღეს, ზენჯანის გზით საქონელს ნუღარ გზავნით, რადგანაც საშიშიაო.

**ლონდონი.** სპარსეთის რკინის გზის გასაყვანად შესდგა ამხანაგობა, რომელშიაც შედიან ფრანგებისა, რუსებისა და ინგლისელების საზოგადოებანი.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარედ.

27 აპრილი.

**ბერლინი.** ლანდტაგი. გერმანიის სამიწადმფლობელო კანონის განხილვას შეუდგნენ. სასოფლო მეურნეობის მინისტრმა ჰორლემერმა აღნიშნა: ეს პროექტი გერმანელთა და პოლონელთა მოსალოდნელმა ბრძოლამ წარმოშვაო; საახალშენო კომისიის მეცადინეობის მიუხედავად, პოზნანსა და დასავლეთ პრუსიაში გერმანელთა მიწადმფლობელობა საგრძნობლად შემცირდა, აღმოსავლეთ პრუსიასა, სილეზიაში და პომერანიაში პოლონელთა მიწადმფლობელობა შესამჩნევად გაიზარდა; პოლონელები წარმოადგენენ სახელმწიფოში სახელმწიფოს. (პოლონელთა წინაღმდეგობა ისმის). მათ შედგენილი აქვთ ფართე ეროვნული და ეკონომიური ორგანიზაცია, გერმანელებისაგან განცალკევებით, ესწრაფიან ისეთ ოცნების განხორციელებას, რომელსაც ვერ ეღირსებიან, თუ პრუსიის სახელმწიფოს არ დასცემენ. პრუსიამ საკონსტიტუციო ფარგალში ყოველივე ზომა უნდა მიიღოს გერმანიის ელემენტთა გასაძლიერებლად და განსამტკიცებლად. ზემო სილეზიაში მშვიდობიანი მყუდრო ცხოვრება პოლონეთის მოძრაობის შეტანით არივ-დარივს. ასეთივე მოვლენა ემჩნევა რეინ-ვესტფალის ოლქში, სადაც ბევრი პოლონელი სახლდება.

მინისტრი გაიხსენებს მაზურებს, ლიტველებსა და ვენდიელთ, რომელნიც დედა ენით სარგებლობენ, მაგრამ ამავ დროს კეთილი პრუსიელნი არიან. მინისტრმა განაცხადა: უნდა ვიზრუნოთ, რათა გამაგრებული მიწადმფლობელობა მთავრობის ხელში გადავიდეს და შემდეგ მან გაჰყიდოს შეღავათიანის პირობებითაო.

კონსერვატები და ნაციონალისტები პროექტს მიემხრნენ. ცენტრმა მოითხოვა, კანონ-პროექტი საგანგებო კომისიას გადავცეთო. სოც. დემოკრატები და პროგრესისტები წინააღმდეგნი იყვნენ. პოლონელებმა განაცხადეს: ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ აღთქმა მოგვცა, რომ პოლონელების ეროვნებას არ შევეხებითო. არსებულის პოლიტიკით გერმანიაში პოლონელები მრავლდებიან.

**ვაშინგტონი.** ოფიციალურის ცნობებით, მისისიპის ადიდების გამო 40 მილიონის ზარალი მიუყენებია მკვიდრთათვის. 117,000 კაცი უმწეოდაა დარჩენილი. მთავრობა ტანსაცმელსა და საკვებს აწვდის.

**იმენშადტი** (ბავარი) წყალ-დიდობის გამო სალამოთი მატარებელთა მიმოსვლა შესწყდა ზონტგოვენსა და იმენშტადტს შორის. რკინის გზის სანაპიროებში შტეინის მახლობლად მდინარე ილერმა წალეკა.

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა დაადასტურა: ინგლისის ელჩმა გუშინ წერილობით გამახსენა, რომ ტანჟერის საკითხი ინტერნაციონაციონალურია. ამავე კითხვას არკვევენ ეხლა საფრანგეთი და ინგლისიც.

**ბერლინი.** ლანდტაგტში თავმჯდომარემ რამდენჯერმე მოაგონა სოც.-დემოკ. ბორხარდტს წესიერება და კრებიდან გარიცხვით დაემუქრა. ბორხარდტმა უპასუხა: არ გავალო. თავმჯდომარემ კრება დახურა. განახლებისას ბორხარდტმა დარბაზიდან გასვლაზე კვლავ უარი სთქვა. რის ვაი-ვაგლახით პოლიციამ გაიყვანა.

**ვენა.** ავდრების გამო ტიროლსა, ფორარლბერგსა და ზალცბურგს მდინარეები საშინლად ადიდდა. ინსბურკში წყალშია გოფტინგისა და მარიაგილფის უბნები. ბევრგან ხიდები დაანგრია; გზატკეცილები წალეკილია.

**ბერლინი.** ლონდონში მყოფი გერმანიის ელჩი მეტერნიხი სამსახურიდან გადადგა.

ბორხარდტი კვლავ დაბრუნდა. ხელმეორედ გაიყვანეს.

**მიუნჰენი.** მდ. იზარმა ღამით ძალიან იმატა. ბავარიისა და ტიროლის ბევრ კუთხიდან წყალდიდობის ამბებს იუწყებიან.

**პარიზი.** ჰავასი იუწყება: სულთანმა რენიოსა და მუანიოს მეგობრულ რჩევას დაუჯერა და, ლიოტეს ჩასვლამდე, რაბათში წასვლას აღარ აპირებს. იუწყებიან, მარაქების მკვიდრნი ჰღელავენო.

**ბერლინი.** სამიწადმფლობელო კანონ-პროექტი საგანგებო კომისიას გადაეცა.

კიდერლენ-ვეხტერი იმპერატორმა კარლსრუეს დაიბარა. იქ თან გაიყოლებს კანცლერსა, და შაბათს წარუდგება.

**ლონდონი.** მუშათა ბელადი ტომანი, რომელიც ჯარის-კაცებს უქადაგებდა გაფიცულ მუშებს არ ესროლოთო, ექვსი თვით ციხეში ჩასვეს.

**ბერლინი.** ცენტრელებმა ხარჯთაღრიცხვის კომისიაში საკანონმდებლო მოსაზრება შეიტანეს, გაუქმდეს კანონი, რომელიც აფიცერს, სურვილს წინააღმდეგ, ავალებს დუელში გასვლასაო.

**ვენა.** ქურდები შეპარულიყვნენ მაგარ სასმელების დუქანში. იქიდან მილიციელებს სროლა აუტეხეს. ორი შეიპყრეს. მესამემ თავი მოიკლა.

**ლონდონი.** მეფე გიორგიმ გუშინ საზღვაო ალლუმების დროს, წყალქვეშმავალ ნავით ორიევ რსი გაიარა.

**პრაგა.** მინისტრ-პრეზიდენტს აცნობეს: გერმანიის ჩეხიაში მოსამართლენი ჩეხურად დაწერილ თხოვნებს აღარ ღებულობენო.

### რუსეთი

**მოსკოვი.** ბოლოგოვიდან მოსკოვამდე თოვლი ძევს, ჯერ არა დნება.

**კიევი.** მოსკოვიდან საექსკურსიოდ ჩამოვიდა 50 სტუდენტი. ქალაქი დაათვალიერეს და ადესისაკენ გაემგზავრნენ.

**პეტერბურგი.** კოკოვცევი დაბრუნდა ყირიმიდან.

ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკი.

გაზ. „პრავდას“ მეოთხე ნომერს ყადაღა დაადეს. რედაქტორს პასუხისგებაში აძლევენ.

**ეკატერინოდარი.** ხანსკის სტანციაში სახაზინო არყის დუქნების ფულის მკრეფელი გაძარცვეს. წაიღეს 12 ათასი მანათი. სროლის დროს ერთი ჩაფარი დაიჭრა.

**ასხაბადი.** ჩელექენის კუნძულზე გაჯინჯირა და კასპიის ამხანაგობა ნავთის სამრეწველო იწვის. ადამიანის მსხვერპლიც ყოფილა.

**ოდესა.** ბელგრადის სტუდენტთა ექსკურსია ჩამოვიდა და ხვალ უკანვე მიემგზავრება.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ნოვიცკი იალტას გაემგზავრა, სადაც მისის თავმჯდომარეობით მეღვინეობის თაობაზე ითათბირებენ.

**მოსკოვი.** დღეს წვრილ სამრეწველოთა 5000 მუშა გაფიცა. მსხვილ სამრეწველოთაგან გაიფიცნენ ყაზანის რკინის გზის სახელოსნოში, დუკატის ქარხნისა, ქალაქი ტრამვაისა და ზოგიერთა ტიპოგრაფიების მუშები „რუსკია ვედომოსტსა“ და „უტრო როსიისა“. რამდენიმე ადგილას გაფიცულთ დემონსტრაციის მოხდენა სცადეს. პოლიციელებმა გაჰფანტეს. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს.

**პეტერბურგი** სენატორი ბარონი ტაუბე ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

ომსკის სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს ებრძანა სენატში იმსახუროს.

## თეატრი და ხელოვნება

**სალიტერატურო-სამუსიკო დილა ბავშვებისათვის.** კვირას, 29 აპრილს დილის 12 საათზე, ახალი კლუბი ჰმართავს ქართულ თეატრში ბავშვებისათვის სალიტერ.-სამუსიკო დილას შემდეგი პროგრამით. 1. განყ. „ბულბული“, უამბობს ბავშვებს ქართულად ილია ნაკაშიძე, 2. განყ. ხუთი სინემატოგრაფიული სურათი (ზღვის ღელვა ბათომის ახლოს, გემის დაღუპვა („ტიტანიკის“), ჩინელების ცხოვრებიდან (ხალხური ზნე-ჩვეულება), ცხელ ქვეყანაში, მდინარე ნილოსი (ეგვიპტე) ღამე; ქართულიდ განმარტავს სურათებს ილია ნაკაშიძე. სამი კომიკური სურათი. 3. განყ. დაუკრავს ორკესტრი პრესმანის ლოტბარობით. შესვლის ფასი კლუბის წევრთა შვილებისათვის 20—კაპ., გარეშეთათვის—25—15 კაპ., ღარიბ სკოლებს კლუბის გამგეობა უფასოდ გაუგზავნის ბილეთებს.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა უძღვნა ვანო მიხეილის ძე ბარათაშვილს და იონა ბელიაშვილს. პირველმა კვლავ განაგრძო გამოწერა საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“სა თვისივე ხარჯით ჩემ მიერ რწმუნებულ მერევის ორ-კლასიანი სასწავლებლისათვის, მეორემ კეთილ ინება და შემოსწირა ჩემსავე სასწავლებელს ქართული წიგნაკები 30 ცალი ღირებული 5 მანეთამდე დასარიგებლად.

ზედამხედველი მერევის ორ-კლასიანი სასწავლებლის **ი. გელაშვილი.**

## ჩვენი ფოსტა

**ქუთაისი. პელ. ლ—ს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 0 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სად. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სად. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, სად. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სად. 11 ს. 5 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, სად. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 სად. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ბაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაიაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| —5 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

### გემების მიმოსვლა საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე სად. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით სად. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე სად. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის 6 ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით სად. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

## განცხადებანი


### საჭიროა

**კარგი კონდუქტორი-დამტარებელი** თავისის ცხენებით, ხელოვნურ მადნეულ და ხილეულ წყლის ქარხნისათვის. პირობების შესატყობად შეუძლიანთ მიჰმართონ; ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა, № 109, სახლი, ქარხნის პატრონსა, ყოველ-დღე ნაშუადღ. 4—7 ს.-დე, კვირაობით დილის 8—11 ს., და ნაშუადღევის 3—7 საათამდე.

**იყიდება ეს ქარხანა.** (2.406.1)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი

„SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербург. разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის ტფილისის ქალაქის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672. (წ. 1161.7)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

### დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

### საღამოთი:

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ. ნავასარდიანი.** (წ. 1074.40)

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

(წ.—1131—49)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება უცხო ენიდან ნათარგმნი წიგნები:**

| | | |
|---|---|---|
| აივენგო. ვოლტერ სკოტი. ფ—1 მ. | | |
| ათი მოთხრობა. ნათ. ზურ. | 50 | კ. |
| ამბავი და მოთხრობანი. ნათ. ი. მაჭავ. | 20 | „ |
| აზიის მნათობი. ინდ. თქმულება. | 10 | „ |
| ადამიანის ცხოვრება. ნათ. ზურ. | 50 | „ |
| აღდგომა. ტოლსტ. | 1— | |
| ასის წლის შემდეგ. | 1— | |
| ბავშვის მოვლა. ნათ. ვას. მაჩ. | 40 | „ |
| ბარტექ ძლევა მოსილი. სენკ. | 20 | „ |
| გლეხი კაცის ისტორია. | 2—50 | „ |
| გლეხი კაცი. პოლენცოსი. | 1 | |
| დონ-კიხოტი. ნათ. ნ. ავალ. | 2— | |
| დონ-კიხოტი. შემ. ნათ. დ. ყიფ. | 25 | „ |
| დაკარგული სამოთხე. | 40 | „ |
| დემონი. გურიელის ნათ. | 10 | „ |
| ვაი ჭკუისაგან. ნათ. განდ. | 35 | „ |
| ზვიმა. ქინაქინის ამბავი | 10 | „ |
| თხუზულებანი პუშკინისა. | 50 | „ |
| იუდა. ლექსი ნადსონისა. ნათ. ი. ფერ. | 5 | „ |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. | 50 | „ |
| კაიაფის ვაჟიშვილი. ნათ. ყუბ. | 50 | „ |
| ლედი ჯენ. ჯემისონისა. | 35 | „ |
| მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე-მეფე, მედია. | 50 | „ |
| მარსელიელნი. ნათ. ელ. ანტ. | 25 | „ |
| მაკბეტი. ივ. მაჩაბლ. ნათ. | 40 | „ |
| მეუფება წყვდიადისა ლ. ტოლს. | 40 | „ |
| მაზეპა. | 20 | „ |
| მოლიერი. | 50 | „ |
| ნაძირალნი, გორკ. | 25 | „ |
| ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან | 25 | „ |
| ორი ეტიუდი. რუბაკინი. | 20 | „ |
| ოქროს მოყვარულნი. | 15 | „ |
| რამას განდევნა. ნათ. ალ. სარაჯ. | 40 | „ |
| რომანიდან „93 წელი“. ჰიუგოსი | 20 | „ |
| სპარტაკი. | 60 | „ |
| შავი სპარტაკი. | 40 | „ |
| ცოდვა სიყვარულისა. ნათ. გ. ყიფშ. | 70 | „ |
| ცეცხლითა და მახვილითა. ნათ. გ. ყიფშ. | 1—60 | „ |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз насел. (წ. 1141.36)

## სნეულნო!

### უფრთხილდით სიყალბეს!

რადგანაც „სპერმინის“ იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ-პელა**“ აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ლალადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

### სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა უღირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილიბთან ერთად.




ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКІЙ ИНСТИТУТЪ

ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ЬЯ

ПОСТАВЩИКИ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА

С.ПЕТЕРБУРГЪ В.О. 7 ЛИНІЯ 18.

Метцль. № 1277. (12.1002.4)